ანგარიში
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

შესავალი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ადგილობრივი გადასახადების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლებისა და არაფინანსურ აქტივებზე განხორციელებული ოპერაციებიდან მისაღები სახსრების ამოღებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო აღრიცხავს თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეულ გადასახდელებს, რაც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ. იგი აგრეთვე აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს.

მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით. ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში კი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან. ხოლო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს ამზადებს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა და წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;

გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისთვის;

დ) პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;

ე) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;

ვ) წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს;

ზ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არაუგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

I თავი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

ათასი ლარი

დასახელება	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025წლის ბიუჯეტის იანვარი - ივნისის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	26,269.2	8,288.2	17,981.0	27,289.6	7,911.6	19,378.0
გადასახადები	16,120.5	0.0	16,120.5	14,635.4	0.0	14,635.4
გრანტები	8,288.2	8,288.2	0.0	7,925.4	7,911.6	13.8
სხვა შემოსავლები	1,860.5	0.0	1,860.5	4,728.7	0.0	4,728.7
II. ხარჯები	19,404.1	609.4	18,794.6	16,277.5	536.6	15,740.9
შრომის ანაზღაურება	2,581.9	0.0	2,581.9	2,542.8	0.0	2,542.8
საქონელი და მომსახურება	3,813.8	400.9	3,412.9	2,885.0	361.1	2,523.9
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	17.4	0.0	17.4	3.6	0.0	3.6
სუბსიდიები	10,523.0	146.4	10,376.6	9,018.8	134.9	8,883.9
გრანტები	35.0	0.0	35.0	1.0	0.0	1.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,513.4	45.2	1,468.2	1,329.1	40.2	1,289.0
სხვა ხარჯები	919.5	17.0	902.6	497.1	0.5	496.7
III. საოპერაციო სალდო	6,865.1	7,678.8	-813.7	11,012.1	7,375.0	3,637.1
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	13,762.8	8,149.6	5,613.3	4,765.1	7,275.1	-2,510.1
ზრდა	13,872.8	8,149.6	5,723.3	11,977.5	7,275.1	4,702.4
კლება	110.0	0.0	110.0	967.2	0.0	967.2
V. მთლიანი სალდო	-6,897.7	-470.8	-6,426.9	2,641.6	99.8	2,541.8
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-6,933.7	-470.8	-6,462.9	-396.8	99.8	-496.7
ზრდა	0.0	0.0	0.0	99.8	99.8	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0		#VALUE!	99.8	
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	6,933.7	470.8	6,462.9	125.8	0.0	125.8
ვალუტა და დეპოზიტები	6,933.7	470.8	6,462.9	#VALUE!		125.8

ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-36.0	0.0	-36.0	-27.8	0.0	-27.8
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	36.0	0.0	36.0	27.8	0.0	27.8
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	36.0	0.0	36.0	27.8	0.0	27.8
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები.

2) **საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან**

ათასი ლარი

დასახელება	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025 წლის ბიუჯეტის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	**26,379.2**	**8,288.2**	**18,091.0**	**28,256.8**	**7,911.6**	**20,345.2**
შემოსავლები	**26,269.2**	**8,288.2**	**17,981.0**	27289.6	7911.6	19378.0
არაფინანსური აქტივების კლება	**110.0**	**0.0**	**110.0**	967.2	0.0	967.2
გადასახდელები	**33312.9**	**8759.0**	**24553.9**	28282.8	**7811.8**	**20471.0**
ხარჯები	19404.1	609.4	18794.6	16277.5	536.6	15740.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	13872.8	8149.6	5723.3	11977.5	7275.1	4702.4
ვალდებულებების კლება	36.0	0.0	36.0	27.8	0.0	27.8
ნაშთის ცვლილება	**-6,933.7**	**-470.8**	**-6,462.9**	-26.0	99.8	-125.8

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - ივნისის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა

განისაზღვრა 26379,2 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28256,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 107,1%.

სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი:



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - ივნისის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 26269,2 ათასი ლარი, ფაქტიურად 27289,6 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 103,2% შეადგინა.



ა) საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 14635,4 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 13623.1 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1012.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: **დამატებული ღირებულების გადასახადიდან** მიღებულია

12528,0 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი 11127.7 ათასი ლარი) შედარებით 1400.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. **ქონების გადასახადის გეგმა** საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1309,1 ათას ლარი, მიღებულია - 2107,4 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია -2033,5 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე - 1,2 ათასი ლარი, სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 47,4 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 2,0 ათასი ლარი. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 14,0 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 9,3 ათასი ლარი.

ათასი ლარი

დასახელება	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025 წლის იანვარი - ივნისი ბიუჯეტის ფაქტი			%
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გადასახადები	**16,120.5**	**0.0**	**16,120.5**	**14,635.4**	**0.0**	**14,635.4**	90.8
დღგ	**14,811.4**		**14,811.4**	**12,528.0**		**12,528.0**	84.6
საშემოსავლო გადასახადი	**0.0**			**0.0**			#DIV/0!
ქონების გადასახადი	**1,309.1**	**0.0**	**1,309.1**	**2,107.4**	**0.0**	**2,107.4**	161.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	**1,245.6**		**1,245.6**	**2,033.5**		**2,033.5**	163.3
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	**1.0**	**0.0**	**1.0**	**1.2**	**0.0**	**1.2**	119.2
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	**1.0**		1.0	**0.0**			0.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე	**0.0**			**1.2**		1.2	#DIV/0!
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	**31.5**	**0.0**	**31.5**	**49.4**	**0.0**	**49.4**	157.1
ფიზიკურ პირებიდან	**29.1**		29.1	**47.4**		47.4	162.9
იურიდიულ პირებიდან	**2.3**		2.3	**2.0**		2.0	84.8
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	**31.0**	**0.0**	**31.0**	**23.3**	**0.0**	**23.3**	75.0
ფიზიკურ პირებიდან	**20.3**		20.3	**14.0**		14.0	69.0

იურიდიულ პირებიდან	**10.8**		10.8	**9.3**		9.3	86.2

ბ) გრანტები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 7925,4 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 9267.1 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1341.7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული (აღნიშნული განპირობებულია იმით რომ გასულ წელს გრანტი იქნა მიღებული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის, რაც საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა), მათ შორის: **მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად** 441,4 ათასი ლარი (მათ შორის მიღებულ იქნა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება - 273,5 ათ. ლარი (საკასო ხარჯმა შეადგინა 124,3 ათ. ლარი), ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი - 142,4 ათ. ლარი (საკასო ხარჯმა შეადგინა 134,9 ათ. ლარი), წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგიტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახებისათვის გამოყოფილი იქნა საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად - 21,8 ათ. ლარი (საკასო ხარჯმა შეადგინა 37,0 ათ. ლარი), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად - 3,2 ათ. ლარი (საკასო ხარჯმა შეადგინა 3,2 ათ. ლარი).

ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 7470,3 ათასი ლარი, მათ / შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებით დაფინანსდა 7169,4 ათ. ლარი, მათ შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში (ქვედა ქვილიშორში) სასმელი წყლის ქსელისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში სანიაღვრე სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მუხიანში, აბდალაძე - ფხაკაძეების უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში ძვ. საყულია წისქვილის, მეკვერიების,

ლომიძეების, კაშიას უბნებში გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია; სოფელ ოფურჩხეთში ახალი სასაფლაოს გზის, სოფელ ჯიმასტაროს მანაგაძეების უბანი, მელქაძეების უბანი, ტურაბელიძეების უბანი, ყოფილი სკოლის უკან, ჩაკვეტაძეების უბანი, ხელაიების უბანი, სოფელ გუმათში ავალიანები, დაჩების უბანი, ველას უბნის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუბნეშში (მე-10 ქუჩა), ზედა ჩუნეშში ლორთქიფანიძე - თვალოძეები და სოფელ ყუმისთავში შალამბერიძეების უბანი და სოფელ ბანოჯაში 39-ე ქუჩაზე გზის ბეტონის საფარით მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, იმერეთის საყრდენი პუნქტი (ეკონომისტთა დასახლება) ჭელიძეების უბნებში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში 26 ქუჩისა და შიდა ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბლიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში 26 ქუჩისა და შიდა ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბლიტაცია; სოფელ გვიშტიბი ბენდელიანების, კირთაძეების უბანი, ნიჟარაძეების უბანი, პირველი ქ. მაღაზიის უკან, პირველი ჩიხი, ჩავჩიძეების უბანი, #17 ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. თერნალში მე-15, 18, 21 ქუჩებზე გზების და ჩაის ფაბრიკის დასახლებაში საერთო საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზების; სოფელ ქვიტირში #10, 22 , 25, 11,4,5 და პირველი ქუჩა მე-11, მე-13, მე-7 ჩიხის გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია; სოფელ ქვედა მესხეთში ნარეშელაშვილების უბანი და სოფელ გეგუთში მეურნეობის დასახლებაში გზის ბეტონის საფარით მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში #28 და #30 ქუჩების და სოფელ ქვილიშორში რუშავას უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში და ტყაჩირში შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის #55 განკარგულებით მიღებულია 300,8 ათასი ლარი.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები - 13,8 ათასი ლარი, საგრანტო პროექტის სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის ფარგლებში.

ათასი ლარი

დასახელება	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა	2025 წლის იანვარი - ივნისი ბიუჯეტის ფაქტი	%

	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გრანტები	**8,288.2**	**8,288.2**	**0.0**	**7,925.4**	**7,911.6**	**13.8**	95.6
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	**0.0**			**13.8**		**13.8**	#DIV/0!
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	**8,288.2**	**8,288.2**	**0.0**	**7,911.6**	**7,911.6**	**0.0**	95.5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	**399.9**	**399.9**	**0.0**	**441.4**	**441.4**	**0.0**	110.4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	**399.9**	399.9		**441.4**	441.4		110.4
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	**7,888.3**	**7,888.3**	**0.0**	**7,470.3**	**7,470.3**	**0.0**	94.7
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	**7,529.0**	**7,529.0**		**7,169.4**	**7,169.4**		95.2
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	**359.3**	359.3		**300.8**	300.8		83.7

გ) სხვა შემოსავლები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 4728,7 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 4417,4 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 311,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: პროცენტის სახით მიღებულია 539,9 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 343,7 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 32,0 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 64,8 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (სისტემურ - ელექტრონული ფორმის თამაშებიდან) – 3100,0 ათასი ლარი (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაიზარდა კაზინოების რაოდენობა და ფუნქციონირებს 4 დაწესებულება), ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 81,0 ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 77,0 ათასი ლარი (სახელმწიფო შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი, ადგილობრივი თვითმმართველი

ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობის იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემოდან მიღებული შემოსავალი, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 400,3 ათასი ლარი, ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე - 17,0 ათასი ლარი. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 72,9 ათასი ლარი.

ათასი ლარი

დასახელება	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025 წლის იანვარი - ივნისი ბიუჯეტის ფაქტი			%
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
სხვა შემოსავლები	**1,860.5**	**0.0**	**1,860.5**	**4,728.7**	**0.0**	**4,728.7**	254.2
შემოსავლები საკუთრებიდან	**179.0**	**0.0**	**179.0**	**915.7**	**0.0**	**915.7**	511.6
პროცენტები	**0.0**			**539.9**		539.9	#DIV/0!
რენტა	**179.0**	**0.0**	**179.0**	**375.7**	**0.0**	**375.7**	209.9
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	**139.0**		139.0	**343.7**		343.7	247.3
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	**40.0**		40.0	**32.0**		32.0	80.1
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**1,139.0**	**0.0**	**1,139.0**	**3,322.8**	**0.0**	**3,322.8**	291.7
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**1,116.5**	**0.0**	**1,116.5**	**3,245.8**	**0.0**	**3,245.8**	290.7
სანებართვო მოსაკრებელი	**16.5**		16.5	**64.8**		64.8	392.7
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	**1,000.0**		1,000.0	**3,100.0**		3,100.0	310.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	**100.0**		100.0	**81.0**		81.0	81.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**22.5**	**0.0**	**22.5**	**77.0**	**0.0**	**77.0**	342.4
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	**22.5**		22.5	**77.0**		77.0	342.4
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**520.0**		**520.0**	**400.3**		**400.3**	77.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	**0.0**			**17.0**		**17.0**	#DIV/0!
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული	**22.5**		**22.5**	**72.9**		**72.9**	324.0

შემოსავლები							

დ) არაფინანსური აქტივების კლება ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 967,2 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 2841,3 ათასი ლარი, სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღებული შემოსავალი როგორც სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან) მიმდინარე პერიოდში 1874,1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: ძირითადი აქტივები - 95,9 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 871,3 ლარი.



ე) ხარჯები ეკონომიკური მუხლების მიხედვით

ათასი ლარი

დასახელება	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025 წლის ბიუჯეტის იანვარი - ივნისის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
II. ხარჯები	19,404.1	609.4	18,794.6	16,277.5	536.6	15,740.9
შრომის ანაზღაურება	2,581.9	0.0	2,581.9	2,542.8	0.0	2,542.8
საქონელი და მომსახურება	3,813.8	400.9	3,412.9	2,885.0	361.1	2,523.9
პროცენტი	17.4	0.0	17.4	3.6	0.0	3.6

სუბსიდიები	**10,523.0**	**146.4**	**10,376.6**	**9,018.8**	**134.9**	**8,883.9**
გრანტები	**35.0**	**0.0**	**35.0**	**1.0**	**0.0**	**1.0**
სოციალური უზრუნველყოფა	**1,513.4**	**45.2**	**1,468.2**	**1,329.1**	**40.2**	**1,289.0**
სხვა ხარჯები	**919.5**	**17.0**	**902.6**	**497.1**	**0.5**	**496.7**

ვ) ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი:

org. kodi	**დასახელება**	**2025 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის გეგმა**	**2025 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის ფაქტი**	**%**
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	73.2	72.7	99,3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12,530.2	10922.9	87,2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	458.7	457.6	99,8
04 00	განათლება	89.2	8.4	9,4
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	719.6	514.0	71,4
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1.9	1.9	100,0
	სულ	13,872.8	11,977.5	86,3

დასახელება	2025 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის გეგმა	2025 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის ფაქტი	%
არაფინანსური აქტივების კლება	110.0	967.2	879,3
ძირითადი აქტივები	50.0	95.9	191,8
არაწარმოებული აქტივები	60	871.3	1452,2
მიწა	60.0	871.3	1452,2

ზ) ვალდებულებები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ზრდა	0,0	0,0	77,2
კლება	36,0	27,8	77,2

სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის შესაბამისად 2025 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენდა

92,3 ათ ლარს, 2025 წელის საანგარიშო პერიოდისთვის ვალი შემცირდა (28 აპრილი) 27,8 ათ. ლარით. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტს დარჩა ვალი 64,5 ათ. ლარი.

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ საანგარიშო პერიოდისთვის 28 282,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (33312,9 ათასი ლარი) 84,9 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 26 008,3 ათასი ლარი) დახარჯულია 2274,5 ათასი ლარით მეტი.

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 19404,1 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 16277,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 83,9%-ია.

შრომის ანაზღაურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2581,9 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 2542,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,5%-ია.

საქონელი და მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3813,8 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 2885,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 75,6 %-ია.

სუბსიდიების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 10523,0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 9018,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 85,7 %-ია. აღნიშნულით დაფინანსდა მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, როგორც შრომის ანაზღაურება, ასევე ადმინისტრაციული ხარჯები, ღონისძიებები, სკოლამდელი ასაკის ბავშვების კვების ხარჯი, სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება, დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება და ა.შ.

გრანტების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 35,0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 1,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 88,6 %-ია. აღნიშნული ფარგლებში ანაზღაურებული იქნა ევროპის რეგიონთა ასამბლეას საწევრო (ერა).

სოციალური უზრუნველყოფის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1513,4 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 1329,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 87,8 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა სოციალური პროგრამები, როგორიცაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება, ოჯახების წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება, სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება, დედმამით ობოლ ბავშვთა დახმარება და თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება.

სხვა ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 919,5 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 497,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 54,1 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული გადასახდელები, საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა)

უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ომის მონაწილეთა და უჭირისუფლო გარდაცვლილთა დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება, ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსება, სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება და ა.შ.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 13872,8 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 11977,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86,3 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა გზების კაპიტალური შეკეთება, სასმელი წყლის ქსელისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა, სპორტული მოედნების, საზოგადოებრივი სივრცეებისა და გარე განათების ქსელის დაერთება და ა. შ.

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00) საანგარიშო პერიოდში მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 3524,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (3966,5 ათასი ლარი) 88,9 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 3127.9 ათასი ლარი) დახარჯულია 397.0 ათასი ლარით მეტი.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 930,6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 2578,4 ათასი ლარი, კადრების მომზადება - გადამზადება 22,9 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში, სარეზერვო ფონდიდან (გეგმა - 60,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გამოყოფილია 14,3 ათასი ლარი, ხოლო გახარჯულია 14,3 ათასი ლარი, მათ შორის:

№	თარიღი	ბრძანებ. №	ბრძანების თარიღი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
1	15.04.2025	48. 482510513	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან რომან დგებუაძისათვის თანხის გამოყოფა	12000	12000
2	06.06.2025	48.48251578	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მელანია ტყეშელაშვილისათვის თანხის გამოყოფა	2300	2300
სულ თანხა:				14300	14300

1. **ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)**

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 14365,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (16831,4 ათასი ლარი) 85,4 პროცენტია. ხოლო წინა წელთან

შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 14 701,4 ათასი ლარი) დახარჯულია 335,7 ათასი ლარით ნაკლები.თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - ივნისის გეგმა			2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - ივნისის ფაქტი			შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	16,831.4	8,278.5	8,552.9	14,365.7	7,353.3	7,012.4	85.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	10,241.7	6,124.2	4,117.5	9,255.2	5,683.5	3,571.8	90.4
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	8,940.9	6,124.2	2,816.7	8,305.7	5,683.5	2,622.3	92.9
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	1,151.6	0.0	1,151.6	903.3	0.0	903.3	78.4
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	102.4	0.0	102.4	28.2	0.0	28.2	27.5
02 01 04	ხიდების და ბოგირების მშენებლობა	46.8	0.0	46.8	18.0	0.0	18.0	38.4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2,820.7	1,767.5	1,053.2	2,070.9	1,399.7	671.2	73.4
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	1,418.9	1,049.8	369.1	850.4	768.7	81.6	59.9
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	1,401.8	717.8	684.0	1,220.5	630.9	589.5	87.1
02 03	გარე განათება	497.2	0.0	497.2	461.4	0.0	461.4	92.8
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	485.0	0.0	485.0	455.0	0.0	455.0	93.8
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	12.2	0.0	12.2	6.4	0.0	6.4	52.5
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	254.8	18.3	236.5	15.7	0.0	15.7	6.2
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	413.3	0.0	413.3	291.9	0.0	291.9	70.6
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,783.5	0.0	1,783.5	1,637.6	0.0	1,637.6	91.8

02 06 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანება, გარე განათება და კეთილმოწყობა	1,675.7	0.0	1,675.7	1,563.0	0.0	1,563.0	93.3
02 06 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	4.3	0.0	4.3	0.0	0.0	0.0	0.0
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	103.5	0.0	103.5	74.6	0.0	74.6	72.1
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	399.0	368.5	30.6	276.2	270.2	6.0	69.2
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	82.5	0.0	82.5	48.3	0.0	48.3	58.6
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	183.6	0.0	183.6	155.8	0.0	155.8	84.9
02 10	მოქალაქეთა ჩართულობა	155.1	0.0	155.1	152.7	0.0	152.7	98.5

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01) დაფინანსებულია 9255,2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 10241,7 ათასი ლარის 90,4%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 01 გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 8940,9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 8305,7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი - 6124,2 ათასი ლარი), რაც გეგმის 92,9 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, კაპიტალურად შეკეთებული გზები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო და კომფორტული მიმოსვლა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული

გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის ან/და ბეტონის საფარით.

საანგარიშო პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგფ-ის დაფინანსებით შესრულდა ეტაპობრივად ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, კერძოდ:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში (ქვედა ქვილიშორში) სასმელი წყლის ქსელისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში სანიაღვრე სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მუხიანში, აბდალაძე - ფხაკაძეების უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში ძვ. საყულია წისქვილის, მეკვერიების, ლომიძეების, კაშიას უბნებში გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია;
- სოფელ ოფურჩხეთში ახალი სასაფლაოს გზის, სოფელ ჯიმასტაროს მანაგაძეების უბანი, მელქაძეების უბანი, ტურაბელიძეების უბანი, ყოფილი სკოლის უკან, ჩაკვეტაძეების უბანი, ხელაიების უბანი, სოფელ გუმათში ავალიანები, დაჩების უბანი, ველას უბნის გზის ბეტონის საფარით მოწყობა;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუბნეშში (მე-10 ქუჩა), ზედა ჩუნეშში ლორთქიფანიძე - თვალოძეები და სოფელ ყუმისთავში შალამბერიძეების უბანი და სოფელ ბანოჯაში 39-ე ქუჩაზე გზის ბეტონის საფარით მოწყობა;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, იმერეთის საყრდენი პუნქტი (ეკონომისტთა დასახლება) ჭელიძეების უბნებში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში 26 ქუჩისა და შიდა ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბლიტაცია;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში 26 ქუჩისა და შიდა ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბლიტაცია;

- სოფელ გვიშტიბი ბენდელიანების, კირთაძეების უბანი, ნიჟარაძეების უბანი, პირველი ქ. მაღაზიის უკან, პირველი ჩიხი, ჩავჩიძეების უბანი, #17 ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა;
- სოფ. თერნალში მე-15, 18, 21 ქუჩებზე გზების და ჩაის ფაბრიკის დასახლებაში საერთო საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზების;
- სოფელ ქვიტირში #10, 22 , 25, 11,4,5 და პირველი ქუჩა მე-11, მე-13, მე-7 ჩიხის გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია;
- სოფელ ქვედა მესხეთში ნარეშელაშვილების უბანი და სოფელ გეგუთში მეურნეობის დასახლებაში გზის ბეტონის საფარით მოწყობა;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში #28 და #30 ქუჩების და სოფელ ქვილიშორში რუშავას უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში და ტყაჩირში შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 01 02 გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 1151,6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 903,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 78,4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან

გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები. ასევე დაფინანსდა შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა - შენახვის) სამუშაოები.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 01 03 საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 102,4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 28,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 27,5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კამერების მოვლა - შენახვა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 01 04 ხიდების და ბოგირების რეაბილიტაცია

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 46,8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 18,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 38,4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2024 წლის გარდამავალი პროექტი, როგორიცაა სოფლებში რიონსა და ნოღაში ხიდ-ბოგირების მოწყობა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

ბ) წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02) დაფინანსებულია 2070,9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2820,7 ათასი ლარის 73,4%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 02 01 სანიარვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 1418,9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 850,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 59,9 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გააჩნია შეუფერხელები წვდომა სასმელ წყალზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2024 წლის გარდამავალი პროექტი, სოფელ წყალტუბოში, ლორთქიფანიძის ქუჩის მე-7 და მე-8 შესახვევებში, ქალაქ წყალტუბოში რუსთავისა და ბესიკის ქუჩებზე, სოფელ გვიშტიბში კირთაძეების ქუჩის გაგრძელებზე სანიაღვრე არხების მოწყობა. ქალაქ წყალტუბოში ქუთაისის ქუჩიდან გ. ტაბიძის ქუჩის მიმართულებით გამავალი არხის, ასევე გოგებაშვილისა და კოსტავას ქუჩებზე გამავალი არხის ამოწმენდა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 02 02 სასმელი წყლით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 1401,8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1220,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 87,1 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გააჩნია შეუფერხელები წვდომა სასმელ წყალზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სასმელი წყლის კომუნალური ხარჯის ანაზღაურება. ასევე დაფინანსდა 2024 წლის გარდამავალი პროექტი, როგორიცაა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში (ქვედა ქვილიშორში) სასმელი წყლის ქსელისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03) დაფინანსებულია 461,4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 497,2 ათასი ლარის 92,8%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 485,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 455,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 93,8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე, ახალი ლედ ტიპის ეკონომიური სანათების დაყენებით ელექტროენერგიის ხარჯის შემცირება. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 03 02 გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 12,2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 52,5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მოხდა ახალი ქსელის დაერთების დაფინანსება.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- **საბაზისო მაჩვენებელი** - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.
- **დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.
- **მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

დ) ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 254,8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 15,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 6,2 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოქალაქეებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საგარანტიო თანხის ანაზღაურება.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

ე) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 413,3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 291,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 70,6 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში ფინანსდება წყალტუბოს

მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

ვ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06) დაფინანსებულია 1637,6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1783,5 ათასი ლარის 71,5%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 06 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 1675,7 ათასი ლარი, დაფინანსდა 1563,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 93,3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ქალაქის გაუმჯობესებული იერსახე;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ მიერ შესრულებულია შემდეგი სახის სამუშაოები: თებერვლის დროს დიდთოვლობის დროს ცენტრი გადავიდა 24 საათიან სამუშაოზე. თოვლის საფარისგან გათავისუფლდა ხე-მცენარეები, წაქცეული ხეების შედეგად საფეხმავლო და საავტომობილო გზების გათავისუფლება - გაწმენდა ხორციელდებოდა ოპერატიულად. ასევე სპეც ტექნიკის საშუალებით ხდებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაწმენდა თოვლის საფარისგან. ასევე საანგარიშო პერიოდში მოიჭრა გამხმარი ფაუტიანი და ავარიული ხეები. ქალაქის ტერიტორიაზე დაქირავებული ამწე-კრანისა და ამწე - კალათის საშუალებით გადაიბელა ჭადრის, ალვის და კატალპის ჯიშის ხეები, ხოლო მიღებული საშეშე მერქანი შესაბამისი მირება ჩაბარების აქტით გადაეცათ სოციალურად დაუცველ ოჯახებს. სათიბი მანქანების საშუალებით გაიცელა ქალაქის ქუჩები, სკვერები, კუნძულები, ცენტრალური პარკი. ცენტრის მხრიდან ყოველდღიურად ხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე ხე - მცენარეების დარგვა და ნიადაგის განოყიერება, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა, მოხეტიალე პირუტყვის აღნუსხვა, გარე განათების ქსელის დაზიანებული ნათურების გამოცვლა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დარგული ხე-მცენარეების რაოდენობა 150.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - საანგარიშო პერიოდში დაირგო 145 ხე.

შენობების ფასადების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 4,3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 0,0 ათასი ლარით.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მოწესრიგებულია და რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო საგარანტიო თანხის დაფინანსება.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ფასადის რეაბილიტაცია 0

დაგეგმილი მაჩვენებელი - ფასადის რეაბილიტაცია 0

მიღწეული მაჩვენებელი - ფასადის რეაბილიტაცია 0

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 103,5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 74,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 72,1 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მოწესრიგებულია და რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2024 წლის გარდამავალი ვალდებულებები, კერძოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ქვიტირში, გეგუთში (ვარციხჰესის დასახლება) და გუმბრაში (გუმბრის დასახლება) სკვერის მოწყობა. სოფელ გუმბრაში წისქვილთან არსებული წყაროს შემოღობვისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის, სოფელ საყულიაში ფანჩატურის მოწყობისა და ქალაქ წყალტუბოში ბალანჩივაძის ქუჩაზე ფანჩატურისა და ტრენაჟორების მოწყობა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

ზ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 07) 2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 399,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 276,2 ათასი ლარით.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სოფლად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების დაფინანსება.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

თ) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა (პროგრამული კოდი 02 08) 2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 82,5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 48,3 ათასი ლარით. გამოყოფილი თანხის ათვისება ვერ მოხდა.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაგეგმილ იქნა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა 100.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

ი) სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 09) 2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 183,6 ათასი ლარით. დაფინანსდა 155,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 84,9%-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შედგენილია ხარისხიანი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციისა და სპეციალისტების მომსახურების შეძენა, კერძოდ 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურლი პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

კ) მოქალაქეთა ჩართულობა (პროგრამული კოდი 02 10) 2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 155,1 ათასი ლარით. დაფინანსდა 152,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,5%-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შედგენილია ხარისხიანი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციისა და სპეციალისტების მომსახურების შეძენა, კერძოდ 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურლი პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1811,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (2052,4 ათასი ლარი) 88,3 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 1326,7 ათასი ლარი) დახარჯულია 485,2 ათასი ლარით ნაკლები. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - ივნისის გეგმა			2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - ივნისის ფაქტი			შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,052.4	0.0	2,052.4	1,811.9	0.0	1,811.9	88.3
03 01	სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის	555.4	0.0	555.4	551.2	0.0	551.2	99,2
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	30.0	0.0	30.0	17.3	0.0	17.3	57.7
03 06	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება	1,467.1	0.0	1,467.1	1,243.4	0.0	1,243.4	84.8

ა) სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის (პროგრამული კოდი 03 01) 2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 555,4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 551,2 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 99,2%-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სუფთა გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მივლინების ხარჯები მოლდოვაში, პრომომასალების შეძენა, საკომპოსტე ყუთები, ასევე საკომპოსტე შენობის პროექტი.

ბ) უპატრონო ცხოველების ოპერირება (პროგრამული კოდი 03 02) 2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 30,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 17,3 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 57,7%-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შემცირებულია ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორები და უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო, მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობა.

გ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 06) 2025 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 1467,1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1243,4 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 84,8%-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს დასუფთავების ცენტრი

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნებულია, გაუმჯობესებულია სანიტარული პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი ეწევა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების (ქუჩები და მოედნები) დაგვა-დასუფთავებას, ანახვეტისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ქალაქგარეთ სპეციალურ ნაგავსაყრელზე გატანას, აგრეთვე განსაზღვრულ ტერიტორიებზე ნაგვის ბუნკერების განთავსებას. სამსახური ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს თხოვების ფორმით გადმოცემული შვისი საბუნკერე და ორი მცირე თვითმცლელი სპეცავტომანქანით, რომლებზეც თვეში საშუალოდ იხარჯება მინიმუმ 7500 და მაქსიმუმ 8500 ლიტრი დიზელის საწვავი. მეეზოვეების მიერ ყოველდღიურად, დილასაღამოს, იგვება ქალაქის ქუჩები და

